ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. ყველა საკლასო ოთახს გააჩნია ფანჯარა. არის გათბობის ცენტრალური სისტემა. ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში დენის ალტერნატიულ წყაროს იღებს შპს “ჰაიმედისგან” (სკოლის შენობის გვერდით არსებული სამედიცინო დაწესებულება). სკოლის მეორე სართულზე არის მოქმედი სველი წერტილები გოგონებისთვის 1 (4 კაბინით), ბიჭებისთვის 1 (4 კაბინით) და 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადაპტირებული, რომლიც სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დაწესებულ ნორმებს. სველი წერტილები აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნითა და ქაღალდის ხელსახოცებით. ვიზიტის პერიოდში სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ხელშეკრულებები კომუნალურ სამსახურებთან; 2. წყალმომარაგების აბონენტის რეგისტრაციის განაცხადი; 3. ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინოვაციების სკოლაში“ მეორე სართულზე არის ბიბლიოთეკა სამკითხველო ოთახით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. საინვენტარო წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება 158 გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოსა და 235 ერთეული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურისაგან. ბიბლიოთეკაში წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალი, წიგნების გაცემისა და მიღების ჟურნალი, ანბანური კატალოგი, მკითხველთა ბარათები. ასევე, სკოლა აწარმოებს წიგნების ელექტრონული აღრიცხვის სისტემას. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. <u>თუმცა, წიგნების გარკვეულ ნაწილს აკლდა ბეჭედი და ზოგიერთი წიგნი ელექტრონულ კატალოგში არ იყო სწორად დანომრილ-დახარისხებული.</u> <u>ექსპერტების მიერ სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულყოფილად დაამუშაონ წიგნები შესაბამისი წესით და გაატარონ საინვენტარო წიგნში, ასევე, სწორად შეასრულონ დანომვრისა და დახარისხების პროცესი. სკოლა შეისყიდის ჟურნალ National Geographic-ის და გაზეთ "ახალ განათლების" პერიოდულ გამოცემებს. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენებისა და სარგებლობის წესებს. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა ბიბლიოთეკის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაბრუნების ვადის გასვლის შემდგომ აკრძალვას. კერძოდ, "საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაბრუნების ვადის გასვლიდან 14 სამუშაო დღის შემდეგ მკითხველს ეკრძალება ბიბლიოთეკის საინფორმაციო რესურსებისა და სერვისებით სარგებლობა". ვიზიტის დროს სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და ამოიღო ბიბლიოთეკის დებულებიდან მე-5 მუხლის მეორე პუნქტი.
	ბიბლიოთეკაში არის ერთი ინტერნეტში ჩართული ლეპტოპი, პროექტორი და ქსეროქსის აპარატი. სკოლას ჰყავს ერთი ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციები გაწერილია ბიბლიოთეკის დებულებით. ის ზრუნავს ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებზე, აღრიცხავს და აწესრიგებს არსებულ წიგნად ფონდს, მისი ფუნქციაა სასწავლო პროცესის დაწყებისას დაეხმაროს მოსწავლეებს მასალის შერჩევაში, შექმნას კითხვისა და წიგნით დაინტერესების ატმოსფერო, დანერგოს მუშაობის თანამედროვე მეთოდები, სასწავლო პროცესის დაწყებისას განახორციელებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ბიბლიოთეკის დებულება; 2. საინვეტარო წიგნი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. ელექტრონული კატალოგი; 4. შესყიდვების დოკუმენტაცია; 5. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის შესასვლელის გარე კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო შენობის სართულებზე გადასაადგილებლად განლაგებულია ხის ასაკეცი პანდუსები. შენობის მეორე სართულზე ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. ამავე სართულზეა განლაგებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და ადმინისტრაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეს სკოლის რესურსებთან შეუზღუდავ წვდომას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება. 2. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინოვაციების სკოლა“ ფლობს ინტერნეტში ჩართულ 14 კომპიუტერს. მათგან 8 პერსონალური და 1 ლეპტოპი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 1 ლეპტოპი ბიბლიოთეკაში, 1 ლეპტოპი ექიმის კაბინეტში, 2 პერსონალური და 1 ლეპტოპი სამასწავლებლოში და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახში. გარდა ამისა, სკოლაში არის 3 პროექტორი და 2 ქსეროქსის აპარატი. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი https://www.schoolofinnovations.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლისა და მისი ცხოვრების შესახებ, სიახლეები და საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, ატვირთულია სკოლის მისია, შინაგანაწესი და 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა დანართებით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ დოკუმენტში, სკოლამ შეიტანა ტექნიკური ცვლილებები (შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა), მაგრამ ვებგვერდზე, ატვირთულია ძველი ვერსია. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ატვირთოს განახლებული დოკუმენტები. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა ჰოსტინგისა და დომეინის ფლობის დოკუმენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპიუტერების შეძენის დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით, სკოლა ზრუნავს სასწავლო გემით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აღჭურვასა და განახლებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. იჯარის ხელშეკრულება; 2. ვიზუალური დათვალიერება; 3. ინტერნეტის ხელშეკრულება; 4. ჰოსტინიგისა და დომენის ფლობის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს "ინოვაციების სკოლაში" დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია 5 ცეცხლმაქრით და 3 წყლის ჭავლით. ცეცხლმაქრები დამუხტულია და განლაგებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, ხოლო ერთი განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში. შენობის შესასვლელში მოწყობილია სახანძრო სტენდი 2 ცეცხლმაქრით. დერეფნებში გამოკრულია გასასვლელის მიმანიშნებელი ისრები. შენობის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, შინაგანაწესის მე-10 მუხლში გაწერილია შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია, ექიმის დებულებაში გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს "ინოვაციების სკოლის" ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; 2. შპს "ინოვაციების სკოლის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; 3. შინაგანწესის; 4. ექიმის დებულება; 5. იჯარის ხელშეკრულება; 6. საგადახდო ანგარიშფაქტურა; 7. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ორ სართულზე, დერეფანში, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც დამზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, შპს „პროექტმშენის" მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება. 2. საევაკუაციო გეგმა;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც აქვს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კაბინეტში დამონტაჟებულია ხელსაბანი, რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნითა და ხელის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გასამშრალებელი ერთჯერადი საშუალებებით. ექიმის კაბინეტში არის სამედიცინო ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, 1 ლეპტოპი, დახურული კარადა სამედიცინო მასალებისა და მედიკამენტების შესანახად, სამედიცინო ტახტი, საკაცე, საათი, მაცივარი. კედელზე გამოკრულია პირველადი დახმარების ინსტრუქცია თვალსაჩინოების სახით, სპეციალური ცხრილი მხედველობის შესამოწმებლად. კაბინეტშია გამყოფი ბარიერი (ტიხრული შირმა), რომლითაც გამოყოფილია პაციენტის გასასინჯი სივრცე. <u>თუმცა, ტიხრული შირმა არ არის სამედიცინო და სკოლას მიეცა რჩევა შეიძინონ სამედიცინო კაბინეტისთვის შესაბამისი შირმა.</u> სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების მედიკამენტებით. სკოლას, საშტატო განრიგის მიხედვით, ჰყავს 1 ექიმი და 1 ექთანი. ექიმის პოზიცია ვაკანტურია. სკოლის ექიმის უფლებები, მოვალეობები და საქმიანობის წესი განისაზღვრება ექიმის დებულებით, ხოლო ექთნის ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლის დებულებით, რომლის მიხედვით, ექიმი უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას. ახორციელებს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს აწვდის ინფორმაციას დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვა საკითხებთან დაკავშირებულ დეტალებს; ხელს უწყობს ქრონიკული დაავადებებისა (მაგალითად, სქოლიოზი, მხედველობის დარღვევები) და სასკოლო ტრავმატიზმის პრევენციას; ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას ამ მიზნით, აკონტროლებს და პერიოდულად ატარებს მონიტორინგს კლასების, დერეფნების, სასადილოს, ტუალეტის შემოწმების მიზნით და ავსებს შესაბამის ჟურნალს. გეგმავს და ახორციელებს ჯანმრთელობის ხელშემწყობ ღონისძიებებს; ახორციელებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ საქმიანობას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათ შორის, მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნაადრევი ქორწინების რისკები და სხვა. ექთანი ვალდებულია, გაუწიოს დახმარება სკოლის ექიმს მისი ფუნქციების შესრულებაში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს, სკოლის ექიმის მითითებით მოსწავლეს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება. მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისცეს საჭირო რეკომენდაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში; მონაწილეობა მიიღოს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სანიტარულ-ჰიგიენურ ზედამხედველობაში, მოსწავლეთა ჯანმრთელობითი განათლებისა და პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ექიმის დებულება; 2. სკოლის დებულება; 3. შინაგანაწესი; 4. საშტატო განრიგი; 5. სასაქონლო ზედნადები; 6. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანების ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად, სკოლამ შეიმუშავა და 2022 წლის 19 დეკემბერს სამინისტროში შესათანხმებლად გაიგზავნა შპს „ინოვაციური სკოლის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი: სკოლის 2 დარაჯი/დაცვა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლის ტერიტორია შემოღობილია ღობით და ჭიშკარი დაკეტილია, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს „ინოვაციების სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს პროექტი; 2. სკოლის დებულება; 3. საშტატო განრიგი; 4. გასაუბრება დირექციასთან
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ინოვაციური სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიგნით დამონტაჟებულია 9 კამერა, რომლითაც კონტროლდება დერეფნები და კიბის უჯრედები, ხოლო გარე პერიმეტრს აკონტროლებს 5 ვიდეოკამერა. სულ სკოლას აქვს 14 ვიდეოკამერა, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების ბრძანებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. კამერების ფლობის დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს "ინოვაციების სკოლამ" წარმოადგინა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტები, მათ შორის, შინაგანაწესი და სკოლის დებულება. **შინაგანაწესი** - დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N3 ბრძანებით. შინაგანაწესი თანაბრად ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი განსაზღვრავს დაწესებულების პერსონალისა და მოსწავლეთა ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება დაწესებულების მისიას. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის მიზნები, ამოცანები და მართვის პრინციპები; დაწესებულების პერსონალისთვის მოქმედი ზოგადი ეთიკური ნორმები; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები; წახალისების ფორმები; დისციპლინური წარმოება, გადაცდომა და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახდელები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები; დასაქმებულის სამსახურში მიღება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მოსწავლის მიღება/ჩარიცხვა; მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება. სკოლის შინაგანაწესის მე-12 მუხლი განსაზღვრავს წახალისების, პასუხისმგებლობის სახესა და გამოყენების წესს. <u>აღნიშნული მუხლი ზოგადია და არ აკონკრეტებს, ვისთვის არის განკუთვნილი წახალისება, კერძოდ, "წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი".</u> ასევე, სკოლის შინაგანაწესის 23-ე მუხლი განსაზღვრავს სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღებასა და შეთავსებას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სკოლაში მასწავლებელი მიიღება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. 23-ე მუხლში გაწერილია კონკურსის გამოცხადების ეტაპები, კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა, შრომითი ხელშეკრულების დადება, მაგრამ არ არის ინფორმაცია კონკურსის საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები: <u>შინაგანაწესის მე-12 მუხლში დაკონკრეტდეს ვისთვის არის განკუთვნილი წახალისებების ფორმები, ხოლო, 23-ე მუხლს დაემატოს პუნქტი სკოლის დირექტორის ბრძანებით, შესაძლო საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ კონკურსის პროცედურებზე, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით.</u> სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევები და ვიზიტის დასრულებამდე 2023 წლის 27 თებერვლის N13 ბრძანებით შეიტანა შინაგანაწესში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც: მე-12 მუხლის ჩამოყალიბდა- "თანამშრომელთა და მოსწავლეთა წახალისებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი", ხოლო 23-ე მუხლს დაემატა 23.15 და 23.16 პუნქტები. კერძოდ, 23.15 - კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით საჩივრის არსებობის შემთხვევაში, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელშიც არ უნდა იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები; 23.16-საპრეტენზიო კომისია განიხილავს საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ. **სკოლის დებულება** დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N2 ბრძანებით. დებულება აწესრიგებს შპს "ინოვაციების სკოლის" საგანმანათლებლო საქმიანობას, მის სტრუქტურას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. დებულების მიზანია: სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა; სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა; სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი, მისი თანმდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი; სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობა. სკოლის დებულების მე-12 მუხლი განსაზღვრავს სამეურნეო მიმართულებით დირექტორის მოადგილის ვალდებულებებს. ამ მუხლის მე-11 პუნქტში გამოიკვეთა მექანიკური შეცდომა: "უზრუნველყოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის საკვები პროდუქციის შესყიდვა". <u>სკოლას მიეცა რჩევა ამოიღოს მე-11 პუნქტი.</u> სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევები და ვიზიტის დროს განხორციელდა არსებული უზუსტობის აღმოფხვრა. ——ასევე, მოხდა დებულების გარკვეული მუხლების დაზუსტება. კერძოდ, დებულებაში ამოღებულია მე-12 მუხლის მე-11 პუნქტი. ასევე, დამატებულია: მე-13(1) მუხლი-მრჩეველი განათლების საკითხებში, რომელშიც გაწერილია მისი ვალდებულებები; მე-15 (1) მუხლი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების მენეჯერი, რომელშიც გაწერილია მისი ვალდებულებები; მე-17 მუხლი -სკოლის ექიმი და ექთანი, დაემატა ექთნის ვალდებულებები; მე- 19(1) მუხლი - ახალგაზრდული მუშაკი, რომელშიც გაწერილია მისი ვალდებულებები. სკოლაში შემუშავებულია, ასევე, გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები: ბიბლიოთეკის დებულება, ექიმის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრის დებულება, სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, საქმისწარმოების წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია: 1. შინაგანაწესი; 2. სკოლის დებულება; 3. ბიბლიოთეკის დებულება; 4. ექიმის დებულება; 5. პედაგოგიური საბჭოს დებულება; 6. კათედრის დებულება; 7. სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება; 8. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; 9. საქმისწარმოების წესი. 10. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს "ინოვაციების სკოლას" შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულების თვითშეფასება ჩატარებულია SWOT ანალიზის მეთოდით, რომლის გათვალისწინებით, შემუშავდა გრძელვადიანი განვითარების გეგმა. შპს „ინოვაციების სკოლის" მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზის მიხედვით, სკოლა თავის ძლიერ მხარედ ასახელებს თანამშრომელთა მოტივირებულ და ენერგიულ გუნდს; სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას; სკოლის მზაობას მართვის ინოვაციური და თანამედროვე მიდგომების დანერგვისთვის, სასწავლო დაწესებულების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას; დასაქმებულთა და მოსწავლეთა მიმართ წახალისების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებას; სასწავლო გარემოს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას; უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სკოლის ვიდეო-კამერებით უზრუნველყოფას; კვების სერვისის, გახანგრძლივებული სწავლებისა და უცხოური ენების მრავალფეროვანი არჩევნის შეთავაზებას; თანამშრომელთათვის კეთილგანწყობილი და გუნდური გარემოს შექმნას. სკოლა სუსტ მხარედ განსაზღვრავს სსსმ მოსწავლის სწავლების გამოცდილების არქონას; წიგნების (დამხმარე სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურის) ეგზემპლიარების სიმცირეს; მწვანესაფარიანი მოედნის არარსებობას. სკოლას თავის შესაძლებლობებად მიაჩნია: საპილოტე პროგრამების დანერგვა; სკოლის თანამშრომლობა უცხოეთში არსებულ სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ინვესტიციების მოზიდვა; სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. სკოლის მიერ ერთ-ერთ საფრთხედ მიჩნეულია საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენცია და საჯარო სკოლებში ხელფასებისა და დანამატების ზრდა. ასევე, ახალგაზრდა თაობის მიერ საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის უგულვებელყოფა. სკოლის მიერ წარმოდგენილია დირექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის N10 ბრძანებით დამტკიცებული 2023-2029 წლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა. მისი მიმართულებებია: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დახვეწა. სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზების მიზნით, სკოლაში შეიქმნება კომპიუტერული ცენტრები/კლასები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ვირტუალური მოდელების შექმნას, აგრეთვე, სასწავლო პროგრამების ელექტრონული ვერსიების განთავსებას; დაიხვეწება და განვითარდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა; პერიოდულად განახლდება და დაიხვეწება სკოლის ქართულენოვანი ვებგვერდი; ასევე, შეიქმნება ინგლისურენოვანი ვებგვერდი, დაიბეჭდება სკოლის საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტები და ბანერი; შეიქმნება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცემების ელექტრონული ბაზა; განხორციელდება სკოლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება; განვითარდება ელექტრონული ჟურნალის გამოყენება. ასევე, სკოლა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოფს შენობის კეთილმოწყობას, შენარჩუნებას, განახლებასა და გამოყენებას; განახორციელებს კაპიტალურ რემონტს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეიძენს სკოლის ახალ ინვენტარსა და განაახლებს არსებულს; მოაწყობს საგნობრივ კაბინეტებს, სამკითხველო დარბაზს. გაზრდის წიგნად ფონდს. უზრუნველყოფს დარბაზთან/საცურაო აუზთან ხელშეკრულების გაფორმებას, კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა საჭირო ტექნიკურის საშუალებების შეძენას, საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების სასწავლო თვალსაჩინოებებითა და სხვა საჭირო ინვენტარით ეტაპობრივ აღჭურვას; სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზის მოწყობას; სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა- განახლებას. წარმოდგენილ განვითარების გრძელვადიან გეგმაში, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრულია ამოცანები, განხორციელების დრო, პასუხისმგებელი პირები, მაგრამ არ იყო დეტალურად გაწერილი სამუშაოების განხორციელების დრო წლების მიხედვით და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის N11 ბრძანებით, ასახულია სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი საკითხები, შესრულების ინდიკატორები, განხორციელების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სტანდარტის მოთხოვნის უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დეტალურად, წლების მიხედვით გაწეროს სამუშაოების განხორციელების დრო, ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაცია ვიზიტის დასრულებამდე გაითვალისწინა და წარმოადგინა ახალი 6 წლიანი განვითარების გეგმა, სადაც წლების მიხედვით იყო გაწერილი სამუშაოების განხორციელების დრო, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები სტრატეგიულ გეგმაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩაშლილია რამოდენიმე სტრატეგიული მიზნის ქვეშ. სკოლას კვლავ ეძლევა რეკომენდაცია, სტრატეგიულ გეგმაში, **ცალკე სტრატეგიულ მიზნად გაიწეროს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი,** სადაც კონკრეტული ამოცანების სახით წარმოჩნდება რა პერიოდულობით, რომელი ინსტრუმენტებით და მეთოდებით მოხდება აღნიშნული გეგმის მონიტორინგი და შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. განვითარების ექვსწლიანი გეგმა - 2023-2029; 2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023; 3. SWOT ანალიზი; 4. დირექტორთან გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N2 ბრძანებით. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, მათი შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებელ წესს, რომელიც ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე); ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების რეგისტრაციის, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ფინანსური ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია შესაბამისი კორესპოდენციის ასლები ან დედნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. რეგისტრაციის ჟურნალები; 2. ინდ. სამართლებრივი აქტები; 3. ოქმები; 4. გასაუბრება საქმისმწარმოებელთან; 5. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას მიეცა რჩევა საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების. სკოლას მიეცა რჩევა შეიძინონ სამედიცინო კაბინეტისთვის შესაბამისი შირმა.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ინოვაციების სკოლას" ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლის დირექცია წარმოდგენილია შემდეგი ერთეულებისაგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მიმართულებით, დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით და ბუღალტერი - სულ 5 საშტატო ერთეული. დირექტორის მოადგილის ერთი პოზიცია ვაკანტურია. აკადემიური პერსონალი - მასწავლებელი (19) და ახალგაზრდული მუშაკი(1). ექსპერტების ყურადღება მიიქცია ახალგაზრდული მუშაკის პოზიციამ. მისი ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში და მისი ვალდებულებაა: უზრუნველყოს არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიის გამოყენებითა და ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპებით მუშაობა, ახალგაზრდული მოხალისეობრივი მოძრაობის ხელშეწყობა, მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის საფუძველზე, მათთვის არაფორმალური აქტივობების შეთავაზება, მოსწავლეების სხვადასხვა კონკურსში და ჩემპიონატებში ჩართვა, მოსწავლეებისთვის შემეცნებითი და გასართობი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება და მოსწავლეებისთვის ყურადღების მიქცევა სკოლიდან სპორტული აქტივობების განხორციელების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრაცია და ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალი: საქმისმწარმოებელი (1), სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების მენეჯერი (1), ექიმი (1, ვაკანტურია), ექთანი (1), ბიბლიოთეკარი (1), შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (1), IT მენეჯერი (1), იურისტი (1), ფსიქოლოგი (1)- სულ 9 საშტატო ერთეული. დამხმარე პერსონალი - დარაჯი (2 პოზიცია, ვაკანტურია), დამლაგებელი (2 პოზიცია, ვაკანტურია). ვიზიტის პერიოდში ვაკანტური იყო 6 პოზიცია. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი არის სტატუსის გარეშე, პირობადადებული ხელშეკრულებით. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. სკოლის დებულების, საშტატო განრიგისა და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საშტატო განრიგი; 2. სკოლის დებულება; 3. პირადი საქმეები; 4. შრომითი ხელშეკრულებები; 5. გასუბრება სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

პედაგოგთა საერთო რაოდენობა	19
მოწვეული/მაძიებელი	-
უსტატუსო მასწავლებლი	1
უფროსი მასწავლებლი	17
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება ავტობიოგრაფია/CV, ფოტოსურათი, ნასამართლეობის ცნობა (მასწავლებელზე), „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“, პირადობის მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატების ასლები. დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საშტატო განრიგი; 2. მასწავლებელთა პირადი საქმეები; 3. კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. 5. შინაგანაწესი; 6. შრომითი ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს "ინოვაციების სკოლის" შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. შინაგანაწესის 23-ე მუხლი განსაზღვრავს სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღებასა და სამსახურებრივ შეთავსებას. სამუშაოდ მიღებულ ყველა დასაქმებულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება და იხსნება პირადი საქმე. მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება ვებგვერდზე - www.teacherjobs.ge-ზე. შინაგანაწესის მე-14 მუხლით რეგულირდება დაწესებულების მასწავლებლის/პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. ასევე, განსაზღვრულია წახალისების ფორმებიც: ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შინაგანაწესი; 2. ვებგვერდი - https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&sch; 3. გასაუბრება დირექტორთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან და პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, უფლება-მოვალეობების ნაწილში აღწერილია სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები, მითითებულია ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველი, მასწავლებლის სტატუსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. პირადი საქმეები; 2. შინაგანაწესი; 3. შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ინოვაციების სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც შემუშავებული აქვს დებულება. დებულებაში გაწერილია ხარისხის ჯგუფის მოქმედების წესი და პირობები. ხარისხის ჯგუფს ევალება მასწავლებლის მიერ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების ანალიზი, გაკვეთილზე დასწრება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მიზანია, გაზარდოს სკოლის ეფექტური მუშაობა მაღალი კომპეტენციისა და თანამედროვე უნარების მქონე, მოტივირებული კადრების ადგილობრივ დონეზე მხარდაჭერა. სკოლის მიზანია, იზრუნოს საკუთარი ადამიანური რესურსის განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. 2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; 3. მასწავლებლებთან გასაუბრება
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ზრუნავს დაამკვიდროს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფერო გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა ქმნის დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობის განცდას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენას და პასუხისმგებლობის დელეგირებას. სკოლის დირექციას კარგად აქვს გააზრებული სასკოლო კულტურის გაძლიერების საქმეში საკუთარი როლი. სკოლა დგამს განვითარების გზაზე პირველ ნაბიჯებს და ცდილობს ფუნქციების სწორი დელეგირებით შექმნას იმგვარი სამუშაო ატმოსფერო, რომელიც გაზრდის თანამშრომელთა ეფექტურობასა და საქმიანობის ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ინტერვიუ მასწავლებლებთან; 2. გასაუბრება ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქ. თბილისი 05.04.2023

გვერდების რაოდენობა: 61

61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.